გ ი ლ ო ც ა ვ თ შ ო ბ ა - ა ხ ა ლ წ ე ლ ს !

ხაშურის მოამბე

№50 (471) 30 დეკემბერი, ორშაბათი, 2024 წელი

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

ძვირფასო ხაშურელებო, გილოცავთ ახალ 2025 წელს! მშვიდობის, ბარაქის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2025 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

გასულ 2024 წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში არაერთი სასიკეთო საქმე გაკეთდა როგორც ინფრასტრუქტურული, ისე კულტურული თუ სოციალური მიმართულებებით.

ჩვენი მიზანია ყოველი მომდევნო წელი ხაშურის მუნიციპალიტეტის წინსვლის და გაძლიერების წელი იყოს, ამიტომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია 2025 წელს მცდელობას არ დაიშურებს კიდევ უფრო ეფექტური ღონისძიებების განსახორციელებლად. ჩვენი მუნიციპალიტეტი კიდევ უფრო გალამაზდება და კეთილმოეწყობა.

გვჯერა, რომ ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ურთიერთსიყვარულით, ჩვენ შევძლებთ, უკეთესი მომავლის შექმნას ჩვენი შვილებისთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ახალ, 2025 წელს! გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

მუნიციპალიტეტის მერია

მრავალ ახალ წელს!

ძვირფასო ხაშურელებო! გილოცავთ შობა-ახალ წელს! წყალობის, სიბრძნის, სიკეთის მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის. მშვიდობა, სიხარული, და სიყვარული სუფევდეს თითოეული თქვენგანის გულებში!

ნინო ლიპარტელიანი,

ხაშურის მუნიციპალტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

გასულ კვირას, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა და რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

საკრებულომ მხარი დაუჭირა ცვლილებებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის N28 დადგენილებაში ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმაში.

დღესვე ბიუროს სხდომა გაიმართა. რომელზეც საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა.

თენგიზ ჩიტიაშვილი - მჯერა, 2025 წელი გაცილებით წარმატებული და საინტერესო წელი იქნება, როგორც ქვეყნისთვის, ისე ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის

2024 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის საკმაოდ წარმატებულ წლად შეიძლება ჩაითვალოს. წყლის პროექტი, რომლის დაწყებასაც, ხაშურის მოსახლეობა წლების განმავლობაში ელოდა, დაიწყო. განხორციელდა ათეულობით ინფრასტრუქტურული პროექტი. ეს წელი, კულტურული და სპორტული თვალსაზრისითაც საინტერესო იყო. გასაკეთებელი რომ კიდევ ბევრია, ამაზე

ადგილობრივი ხელისუფლებაც თანხმდება და ადგილობრივ მოსახლეობასთან სისტემატურ კომუნიკაციაშია. როგორი იყო 2024 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის და რას ველოდოთ მომავალი წლებისთვის, გაზრდილი ბიუჯეტის პირობებში, ამაზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, თენგიზ ჩიტიაშვილი ისაუბრებს:

-ბატონო თენგიზ, როგორ შეაფასებდით 2024 წელს?

-2024 წელი ყველაზე წარმატებული წელი იყო, იმ ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყების და განხორციელების თვალსაზრისით, რაც წინა წლებში იყო. წყალარინების პროექტის დაწყება, დამეთანხმებით, ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური იყო ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. პირველი რიგის პრობლემა ხაშურში, საგზაო ინფრასტრუქტურაა, რომელიც ვერ კეთდებოდა, წყალარინების სისტემის მოწესრიგების გარეშე. მესმის, მოსახლეობის წუხილი, გადათხრილი ქუჩების, დისკომფორტის, მეც მოქალაქე ვარ და მეც მექმნება პრობლემები გადაადგილების დროს, მადლობელი ვარ, მოსახლეობის იმ ნაწილის, რომელიც გაგებით ეკიდება შექმნილ მდგომარეობას. ფაქტობრივად, ამ პროექტით, ხაშურის რეაბილიტაცია დაიწყო.

(დასასრული II გვერდზე)

თენგიზ ჩიტიაშვილი - მჯერა, 2025 წელი გაცილებით წარმატებული და საინტერესო წელი იქნება, როგორც ქვეყნისთვის, ისე ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის

-მოსახლეობა ხშირად აღნიშნავს, რომ სამუშაოები დარღვევებით და არაპროფესიონალურად მიმდინარეობს, რამაც ქალაქში ქაოსი გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, რას გვეტყვით?

-ეგ იმის ბრალია, რომ არ არსებობს კომუნიკაციების რუკა-სად რა იყო გაყვანილი.

კეთების პროცესში ხვდებიან დაბრკოლებას, არ იციან რა არის, როგორ მოიქცნენ, რასთან აქვთ საქმე და იძულებულები არიან, სხვაგან გადავიდნენ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, წლების შემდეგ, მოსახლეობა ნახავს შედეგს იმისას, რომ ჩვენი გუნდი, სწორი მიმართულებით მიდის-ჩვენი სტრატეგია იყო, სანამ წყალარინების პროექტს დავიწყებდით, სოფლებში გზის მოასფალტების სამუშაოები დაგვესრულებინა, რომ მთელი რესურსი ქალაქის განვითარებისკენ მიგვემართა. 90 % მეტი გზების მოასფალტება სოფლად, დასრულებულია. მომავალ წელს, უკვე რუსთაველის მიმდებარე ქუჩების მოასფალტება დაიწყება, 26 წლიდან უკვე სისტემატურად დაიწყება ეს პროცესი ქალაქშიც და სურამშიც.

-მოსახლეობაში იყო სერიოზული განგაში, რომ პროექტი შეაჩერა ფრანგულმა მხარემ, თუმცა, ვნახეთ, რომ სამუშაოები ჩვეულ რეჟიმში განხორციელდა. რამ გამოიწვია ეს მითქმა-მოთქმა?

-ამ კომისიის წევრი გახლავართ და მინდა გითხრათ, რომ მსგავსი შიშები უსაფუძვლოა. პროექტით გათვალისწინებული პირველი ეტაპი იყო, მთლიანად ხაშურის, ცხრამუხის და ოსიაურის წყლით მომარაგება და ცენტრალური უბნების წყალარინების რეაბილიტაცია რკინიგზიდან რუსთაველის ქუჩის ჩათვლით და გამწმენდი ნაგებობა, რომელიც ყველაზე პრობლემატურია. დავაყენეთ საკითხი გარეუბნების საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებაზეც, მივიღეთ თანხმობა, სახელმწიფოს მხრიდანაც და საფრანგეთის წარმომადგენლობის მხრიდანაც. თუმცა, მოხდა ამ თემის არასწორი ინტერპრირება, რამაც გამოიწვია მოსახლეობის შეშფოთება.

-მომავლი წლის პრიორიტეტები რა გვაქვს, წყლის პროექტის გარდა?

-სულ ვამბობ, რომ ხაშურს უნდა ჰქონდეს ფუნქცია. ადრე, სამრეწველო ფუნქცია ჰქონდა. ჩემი პოლიტიკით, ვფიქრობ, სპორტული ღირებულება მივცეთ, იმიტომ გავაკეთეთ აქცენტი სტადიონის რეაბილიტაციაზე, ზემო სერზე, წარმატებები და მიღწევებიც გვაქვს ამ კუთხით. გარდა ამის, კულტურული ღონისძიებები იგეგმება აქტიურად. აქცენტი კეთდება სურამზე. ყოველწლიურად, სურამზე რამდენიმე მილიონი იხარჯება. ბევრი გეგმა გვაქვს, გვინდა, კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია, კინოთეატრის რეაბილიტაცია, რომელიც მრავალფუნქციური იქნება.

-მიმდინარე პოლიტიკური ამბების თქვენი შეფასება როგორია?

-ყველას აქვს პროტესტის მშვიდობიანად გამოხატვის უფლება. თუ, რა თქმა უნდა, ეს პროტესტი მშვიდობიანია ორივე მხრიდან, მაგრამ რაც აქციაზე ჩანდა, ცდებოდა მშვიდობიანად გამოხატვის ჩარჩოებს. ერთი რამ უნდა გავიაზროთ, თუ მშვიდობა არ იქნება მსოფლიოში და ქვეყანაში, ვერანაირი წინსვლა და განვითარება ვერ მოხერხდება.

-2025 წელი არჩევნების წელია, თუ ფიქრობთ ისევ მერის არჩევნებში ჩართვას?

-ამ ეტაპზე, ვერაფერს გეტყვით, გუნდმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და მთავარი, უნდა ვგრძნობდე მოსახლეობის მხარდაჭერას-ამის შემდეგ, მივიღებ გადაწყვეტილებას.

-სად ხვდებით წელს ახალ წელს?

-ტრადიციულად, ჩემს ოჯახთან ერთად. მეორე წელია, საახალწლო ღონისძიებები 25 დეკემბერს იგეგმება, ასე, რომ ახალ წელს, ოჯახთან ერთად შევხვდები.

-როგორი იქნება თქვენი სურვილები, ჩვენი მოსახლეობის მიმართ?

-ბანალურია, მაგრამ ისევ მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ, ერთიან, მთლიან საქართველოში. მჯერა, 2025 წელი, გაცილებით წარმატებული და საინტერესო წელი იქნება, როგორც ქვეყნისთვის, ისე ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. მე და ჩემი გუნდი, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

თ. ჯავახიშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, საჯარო ფინანსების PEFA სტანდარტების მიხედვით, მართვის საუკეთესო პრაქტიკისთვის დაჯილდოვდა

აღსანიშნავია, რომ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისთვის ეს პირველი ჯილდო არაა და მსგავსი აღიარება მათ გასულ წლებშიც მოიპოვეს. ვულოცავთ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პროფესიონალთა გუნდის თითოეულ წევრს ქალბატონ ლელა მაჭარაშვილის ხელმძღვანელობით დამსახურებულ ჯილდოს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

ხაშურში აქტიურად გრძელდება „წყალმომარაგებისა და წყალარინების” სისტემების რეაბილიტაცია

პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში შეხვედრები ინტენსიურად იმართება.

ამჯერადაც, ადმინისტრაციულ შენობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე და მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლებსა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრა პროექტის მიმდინარეობის დეტალების განხილვას და მოსახლეობის ინტერესების მეტად გათვალისწინებას ემსახურებოდა.

აღინიშნა, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია, ვალდებულია,სამუშაოების განხორციელების შემდეგ, მოაწესრიგოს საგზაო ინფრასტრუქტურა, ამიტომ პირველ რიგში, ის ქუჩები უნდა მოეწყოს, სადაც პროექტი დასრულდა.

მნიშვნელოვანია, რომ მასშტაბური სამუშაოების განხორციელების შემდეგ, ქალაქ ხაშურის მოსახლეობის, დაახლოებით 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების” პროექტი , სახელმწიფო დაფინანსებით, საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს AFD და EU-ს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს.

პროექტის პარალელურად, სახელმწიფოს ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება: სათავე ნაგებობის, სატუმბო სადგურების, წნევიანი მაგისტრალებისა და რეზერვუარების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები.

2025 წლის ვრცელი ჰოროსკოპი ზოდიაქოს თითოეული ნიშნისთვის - რას გვიმზადებს მწვანე ხის გველის წელი და რომელი ნიშნისთვის იქნება საუკეთესო?

მალე ხის დრაკონის წელს მწვანე ხის გველის წელი ჩაანაცვლებს. როგორც ასტროლოგები ამბობენ, 2025 წელი კარმული წელი იქნება და ყველა ადამიანი მიიღებს იმას, რაც დაიმსახურა. შესაძლოა, წლის განმავლობაში გეგმების შეცვლა არაერთხელ მოგვიწიოს და

ჩვენს მიზნებსაც გადავხედოთ. იცვლება წელიწადის ენერგია და მიმართულებაც და თითოეული ადამიანი განსხვავებული ამოცანებისა და ცვლილებების წინაშე დადგება. ასტროლოგებმა ზოდიაქოს ნიშნებისთვის 2025 წლის ვრცელი პროგნოზი უკვე შეადგინეს.

ვერძი

არჩევანის გაკეთების დრო მოვიდა. 2025 წელი არაერთ სიახლესა და ცვლილებას მოგიტანთ. პირველ რიგში, დაფიქრდებით და გადაწყვეტთ, ვის უნდა დაემშვიდობოთ საბოლოოდ და რა ტიპის ურთიერთობებზე უნდა თქვათ უარი. მოგიწევთ, თქვენს სოციალურ წრეს გადახედოთ და შინაგან ხმას უკეთ მოუსმინოთ.

2025 წელს სამსახურთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებით აქტუალური იქნება. ამ წელს საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეთ, რაგსურთ ცხოვრებაში და რა არის თქვენი სამომავლო მიზანი. თქვენთვის უფრო სიცხადისა და გადაფასების წელი მოდის, რომელიც დაგეხმარებათ, ბევრად უფრო გაცნობიერებულად გააგრძელოთ ცხოვრება. შესაძლოა, დაუბრუნდეთ იმის სწავლასა და განვითარებას, რაც ადრე გინდოდათ ან დაიწყეთ და თქვენი ცხოვრების რაღაც ეტაპზე გააჩერეთ. ზოდიაქოს ამ ნიშნის ბევრი წარმომადგენელი საკუთარ თავში შემოქმედებით უნარებს აღმოაჩენს და ჰობის, დამატებითი ჩვევების განვითარება ახალ შესაძლებლობებსა და შემოსავლის მიღების დამატებით წყაროებს გახსნის. 2025 წლის ჰოროსკოპის მიხედვით, ოჯახური თვალსაზრისით საკმაოდ აქტიური ცხოვრება გელოდებათ. შესაძლოა, დაოჯახება საბოლოოდ გადაწყვიტოთ და ბავშვის გაჩენაზე იფიქროთ.

კურო

2025 წლის თემა „მომავლის გამოწვევები და პრობლემებია". კარმა მოგცემთ მოტივაციას, წინ გაიხედოთ და ცხოვრებისეული გეგმები დასახოთ. მოგიწევთ, ამ წელს დაემშვიდობოთ ყველაფერს, რაც მოძველებული და არასაჭიროა და ბედნიერებასა და წინსვლაში ხელს გიშლით. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ, ახალი მწვერვალები დაიპყროთ და ბევრად ძლიერი და თავდაჯერებული გახდეთ.

2025 წლის ჰოროსკოპი ძველ მეგობრებთან დაბრუნებას გპირდებათ. მეტიც, შესაძლოა, ძველი მეგობრები, ახლობლები თქვენთვის საქმიან პარტნიორებად გადაიქცნენ და ერთად საინტერესო პროექტებზე იმუშაოთ. გარდა ამისა, მომავალი წელი ფინანსური თვალსაზრისით თქვენთვის საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული იქნება, მიიღებთ ახალ შესაძლებლობასა და პიროვნული განვითარების კარგ შანსს. როგორც ასტროლოგები ამბობენ, ოჯახში ლიდერ პოზიციას დაიკავებთ და საკუთარ ენერგიას სახლისა და ახლობელი ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართავთ.

ტყუპები

2025 წელს განვითარების ახალ კარმულ ეტაპზე გადადიხართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი ცხოვრებისეული მიზნები და გეგმები გაგიჩნდებათ. წლის განმავლობაში, შესაძლოა, საქმიანობის სფერო ან არსებული სამსახური შეცვალოთ, რადგანაც მთავარი პრიორიტეტი საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენა, ავტორიტეტის გაძლიერება და წარმატების მიღწევა იქნება. ახალი შესაძლებლობები აუცილებლად მოვა. მთავარია, ხელიდან არ გაუშვათ. ამ მხრივ, მომდევნო წელი თქვენთვის ნამდვილად ხელსაყრელი აღმოჩნდება.

გარდა ამისა, როგორც ასტროლოგები ამბობენ, 2025 წელს თქვენს ცხოვრებაში მენტორის ან საიმედო მეგობრის სახით გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან რჩევებს მოგცემთ და წინსვლაში დაგეხმარებათ. ნუ შეგეშინდებათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და ამბიციური გეგმების დასახვის. თუკი იქნებით გამბედავი და ცვლილებებს არ შეუშინდებით, არც წარმატება დააყოვნებს. მომდევნო წლის განმავლობაში შესაძლოა, მეგობრების წრე განახლდეს და ამავდროულად, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფრო მეტი სურვილი იგრძნოთ.

კირჩხიბი

2025 წელი თქვენთვის ღირებულებების გადაფასების ეტაპი იქნება. ბევრი ურთიერთობა, რომელსაც უკვე ბზარი შეეპარა, საბოლოოდ დაიწყებს დაშლას და წარსულს ჩაბარდება, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს წელი ბევრი ისეთი ფაქტის წინაშე დაგაყენებთ, რომლებიც ადამიანებს სულ სხვა კუთხით გაგაცნობთ და აღმოგაჩენინებთ. გარკვეული სირთულეები ელით როგორც დაქორწინებულ, ისე არაოფიციალურ ურთიერთობაში მყოფ კირჩხიბებს. წლის განმავლობაში არაერთხელ გაგიჩნდებათ შეკითხვა: "აუცილებელია ჩვენი კავშირის განვითარება?" ამიტომაც, თუ გსურთ, რომ სირთულეები თავიდან აირიდოთ, ჯობს, ახლობლებთან, საყვარელ ადამიანებთან წყენაზე, იმაზე, რაც არ მოგწონთ, გულწრფელად ისაუბროთ.

თუმცა, 2025 წელი ფინანსური თვალსაზრისით არაერთ ხელსაყრელ დღესა და სიურპრიზს გიმზადებთ. შემოსავლის ზრდა, ფინანსების მოძიების ახალი წყაროები, დაწინაურება - ამ კუთხით, საკმაოდ საინტერესო წელი გელით. გაზრდილი შემოსავლის ფონზე, მოგინდებათ, თანხა თქვენი ოცნების საქმეებში დახარჯოთ. თუმცა, აქაც ასტროლოგები გირჩევენ, რომ ყურადღება გამოიჩინოთ და სპონტანური შესყიდვებისაგან თავი შეიკავოთ.

ლომი

2025 წლისთვის თქვენი კარმული ამოცანა საკუთარ თავზე ზრუნვა და განვითარებაა. თუმცა, არც ახლობლები უნდა დაგავიწყდეთ, რომელთაგანაც წლის განმავლობაში მხარდაჭერას არაერთხელ მიიღებთ. 2025 წელი, შეიძლება ითქვას, თქვენთვის განახლებისა და ჩვევების შეცვლის წელია. თუ სპორტზე, ცხოვრების წესის ცვლილებაზე, ჰობის განვითარებაზე ფიქრობდით, მაგრამ აქამდე მოტივაცია არ გყოფნიდათ, 2025 წელს ყველა შანსი გაქვთ, რომ თქვენს ცხოვრებაში რეალური ცვლილებები გამოიწვიოთ.

ეს კი წარმატებას აუცილებლად მოგიტანთ. მთავარია, მონდომება არ დაკარგოთ და ბოლომდე მიჰყვეთ იმ საქმეებს, რომლებიც დაგეგმეთ.

ახლობელი ადამიანების მხარდაჭერას იგრძნობთ, რაც განვითარებისა და ცვლილებების პროცესში განსაკუთრებით დაგეხმარებათ. თუმცა, კეთილგანწყობის უკან დაბრუნება არ დაგავიწყდეთ. ეს თავადაც დადებით ემოციებსა და ბედნიერ დღეებს მოგიტანთ.

ქალწული

2025 წელი დიდ კრეატიულობასა და შთაგონებას მოგიტანთ. ქალწულები, როგორც წესი, ყოველთვის რაციონალურ, გააზრებულ გადაწყვეტილებებს იღებენ. მაგრამ, 2025 წელს მოგინდებათ, ხშირად "გამორთოთ" რაციონალურობა და გრძნობებს მიენდოთ. ზოდიაქოს ამ ნიშნის ზოგიერთ წარმომადგენელს ოჯახური ცხოვრების გაძლიერება, შვილის გაჩენა, ამ მიმართულებით სიახლეების დაგეგმვა მოუნდება.

საკუთარ ფინანსებთან ყურადღებით იყავით. შესაძლოა, იმის გამო, რომ თქვენთან ემოციები გაძლიერდება, მთელი დანაზოგი სპონტანურად დახარჯოთ. სხვა მხრივ, ეს წელი არაერთ ახალ თავგადასავალსა და ცვლილებას გიმზადებთ, რაც დაგეხმარებათ, პიროვნულადაც განვითარდეთ და კარიერულადაც.

სასწორი

2025 წელს სასწორისთვის კარმული ამოცანაა, საკუთარ ჯანმრთელობაზე, კვების მოდელზე, ცხოვრების სტილსა და სამსახურის გრაფიკზე იფიქროს. მნიშვნელოვანია, ყველა ის დეტალი, რასაც აქამდე უგულებელყოფდით, ექიმთან შეამოწმოთ და სახიფათო პროცესები გამორიცხოთ. ნუ მიმართავთ თვითმკურნალობას. როგორც ასტროლოგები ამბობენ, ეს კარმული წელია და სამყაროს მოტყუების და პრობლემის სწრაფად გადაჭრის მცდელობა მხოლოდ მის გამწვავებას გამოიწვევს.

2025 წელს არაერთხელ მოგიწევთ, საკუთარ სიზარმაცეს დაძლიოთ და მიზნებსა და გეგმებზე მუშაობა დაიწყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, განვითარების შანსს დაკარგავთ. თუ სამსახურის შეცვლას გადაწყვეტთ, კარგად დაფიქრდით, არის თუ არა გონივრული გადაწყვეტილება და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგით ეს ნაბიჯი.

თუ მარტოხელა ხართ, 2025 წელი პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიურპრიზს გიმზადებთ. შესაძლოა, შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს და ბედნიერ დღეებს მოგიტანთ.

მორიელი

2025 წლისთვის თქვენი კარმული ამოცანაა, საკუთარ ინდივიდუალურობასა და თვითგანვითარებას მეტი ყურადღება დაუთმოთ. დაიწყეთ საკუთარი თავისთვის ცხოვრება და ნელ-ნელა უარი თქვით იმ ადამიანებთან ურთიერთობაზე, რომლებიც უხერხულობას გიქმნიან და ბედნიერებას გაკარგვინებენ. დროა, თქვენი გონება გაათავისუფლოთ. ასეთ შემთხვევაში, ნამდვილად მიიზიდავთ იმ ადამიანებს, რომლებთან შეხვედრაზეც დიდი ხანია, ოცნებობთ.

2025 წლის ჰოროსკოპი დიდ შესყიდვებსაც გპირდებათ, რაც შესაძლოა, თქვენთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდეს.

მშვილდოსანი

2025 წელს თქვენი კარმული ამოცანაა, საკუთარი თავის რწმენა არ დაკარგოთ. ეს წელი დაგეხმარებათ იმის გაცნობიერებაში, რომ თქვენ თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ადამიანი ხართ და ახლობლების აზრებმა და ღირებულებებმა თქვენი მიზნები და ცხოვრებისეული გეგმები არ უნდა შეცვალოს.

2025 წელი პარტნიორული ურთიერთობების თვალსაზრისით არაერთ სიახლეს გპირდებათ. როგორც ასტროლოგები ამბობენ, ურთიერთობებში სიმშვიდესა და ჰარმონიას იპოვით და ეს დამატებითი მოტივაცია გახდება, რომ წინსვლა განაგრძოთ.

მნიშვნელოვანია, საკუთარი დანაზოგის შექმნაზე იფიქროთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახსა და იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც უკვე დიდი ხანია, გვერდზე გადადეთ. მომდევნო წელი აქამდე არსებულ შეცდომებზე დაგაფიქრებთ, ღირებულებებს კიდევ ერთხელ გადააფასებთ და უფრო გაცნობიერებულად შეუდგებით ცხოვრებას.

თხის რქა

2025 წლის ჰოროსკოპი თხის რქებს საკუთარი თავის გამოხატვის დიდ შესაძლებლობებს ჰპირდება. ამ მხრივ, საკმაოდ წარმატებული და ნაყოფიერი წელი გელოდებათ. მაგრამ, ამავდროულად, მოგიწევთ, ცხოვრებაზე საკუთარ შეხედულებებს კიდევ ერთხელ გადახედოთ და პრიორიტეტები განსაზღვროთ. თხის რქა წლის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. გველის წელი ბევრ მოგზაურობას, ფინანსურ თავისუფლებასა და არსებულ შიშებზე გამარჯვებას გპირდებათ.

საკუთარ იმიჯზე იმუშავეთ, რადგანაც ახლა გაქვთ შანსი, დაწინაურდეთ და საკმაოდ ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდეთ. თუ საკუთარი ბიზნესი გაქვთ, ეს წელი ამ კუთხითაც წარმატებული იქნება. მთავარია, ცვლილებებისარ შეგეშინდეთ, სიახლეებისთვის მზად იყოთ და წელი გონივრულად დაგეგმოთ.

მერწყული

გახსოვდეთ, რაც უფრო ნაკლებ ენერგიას დახარჯავთ, თქვენი ფიზიკური ჯანმრთელობა მით მეტად გაუმჯობესდება. 2025 წელს თქვენი მთავარი ამოცანაა, საკუთარ თავს მოუსმინოთ, რადგანაც ყველა შეკითხვაზე პასუხი თქვენსავე თავში იმალება. საკუთარ თავთან გულწრფელი საუბარი მიგანიშნებთ, როგორ გააგრძელოთ ცხოვრება.

წელი ფინანსური კეთილდღეობით ნამდვილად გაგახარებთ და შემოსავლის გაზრდას გპირდებათ. თუმცა, როგორც ასტროლოგები ამბობენ, ჯობს სარისკო გადაწყვეტილებები არ მიიღოთ და თქვენი შემოსავალი საკუთარი თავისა და ოჯახის განვითარებისაკენ მიმართოთ.

მერწყულებს ამ წელს მარტოობა ნამდვილად არ ემუქრებათ. 2025 წელი თქვენს ცხოვრებაში არაერთ ახალ ადამიანს შემოიყვანს, რომლებთან ურთიერთობაც სასარგებლო და სასიამოვნო იქნება.

თევზები

2025 წელს მოგიწევთ, ცხოვრების წესი მთლიანად შეცვალოთ და უკვე შეჩვეული, კომფორტული, მაგრამ მოძველებული მდგომარეობიდან გამოხვიდეთ და ახალი გეგმები დასახოთ.

2025 წელს საკმაოდ თავდაჯერებული იქნებით, რაც მოგცემთ შესაძლებლობას, ყველაზე ამბიციურ გეგმებსა და მიზნებს შეეჭიდოთ და მათ განხორციელებაზე იფიქროთ, აიღოთ პასუხისმგებლობა როგორც საკუთარ თავზე, ასევე საყვარელ ადამიანებზე. მომდევნო წელი თქვენი ავტორიტეტის გაძლიერებას გპირდებათ და მომატებული თავდაჯერებულობაც მოგცემთ შესაძლებლობას, არაერთ წარმატებას მიაღწიოთ.

მთავარია, იცხოვროთ საკუთარი აზრებით, მოუსმინოთ თქვენს თავს და გადაწყვეტილებები სხვების გავლენით არ მიიღოთ.

ტობი და კატერინა ვაგნერები, სოფელ დამჩხეულაში დამკვიდრებული გერმანული ოჯახი ქართული ცხოვრებით

კატია, ხომ არ ნანობთ, დამჩხეულაში დასახლებას? გერმანიაში დაბრუნდებით? - ვეკითხები, 3 წლის უკან, დამჩხეულაში, მეუღლესთან - ტობისთან ერთად დასახლებულ კატერინა ვაგნერს.

არაა, - უარობენ კატერინა და ტობი, და იქვე გვიზიარებენ, - მეგობრები გვეუბნებიან რომ ჩავიდეთ, ვესტუმროთ გერმანიაში, მაგრამ ვეუბნებით, რომ არა, აქ თავს კარგად ვგრძნობთ.... ჩვენ აქ ვიცხოვრებთ! ჩვენ აქაურები ვართ!

ხაშურიდან 6 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 700 მეტრის სიმაღლეზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფელ დამჩხეულაში რამდენიმე წელია სახლობს გერმანელი ტობი და კატერინა ვაგნერების ოჯახი. საქართველოში ტობი თვითნასწავლი დიჯეია, კატია - გერმანული სადაზღვევო კომპანიის ონლაინ თანამშრომელი. იქამდე, გერმანიაში, ვოლგსბურგთან ახლოს მდებარე ქალაქ ზაიცკიტაში, ტობი 30 წლის განმავლობაში ფოლადის მწარმოებელ ქარხანაში მუშაობდა ელექტრო ინჟინრად, კატერინა კი საერთაშორისო კომპანია „მაგნაში“ ასისტენტ მენეჯერად.

ძალიან ლამაზი მეუღლე გყავთო, კომპლიმენტებს არ ვიშურებთ კატიას მისამართით. ქართული თუ იცითო, და ქართულად „ცოტა - ცოტას“ ვსაუბრობთ, „ნაბიჯ - ნაბიჯ“ ვსწავლობთო. საუბარი მარტივად აეწყო, მასპინძლები თავისუფალი, მხიარული და საინტერესო ადამიანები არიან, დასაწყისშივე, როგორღაც, უნებურად, ავტომატურად

ვთანხმდებით, რომ „ხაშური საქართველოს გულია“ და გვაინტრესებს, უცხოელი ტურისტითა და ვიზიტორებით არც თუ ისე პოპულარული ხაშურის მიუნიციპალიტეტი რატომ გახდა მათი არჩევანი. - ეს არ არის მართალიო, უარობს ტობი, დამჩხეულა ყველაზე კარგიაო და გვიყვება ყოვლისმომცველი კორონა პანდემიის პერიოდში, როდესაც მსოფლიო ჩაიკეტა, იყო კონტროლი, რეგულაციები, როდესაც მეგობრებშიც კი აზრთა სხვადასხვაობა იკვეთებოდა პანდემიასთან მიმართებაში და მათი ფიქრებიც კი არადასაშვები იყო, როგორ აქტიურად დაიწყეს ფიქრი მეუღლეებმა საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე. გადაწყვიტეს, რომ ეს არ იქნებოდა ევროპა. არჩევანი აფრიკას, სამხრეთ ამერიკასა და საქართველოს შორის უნდა გაეკეთებინათ. ინტერნეტ პლატფორმების მეშვეობით, ძიების შემდეგ, საქართველო შეარჩიეს, ქვეყანა, რომელიც ძალიან ჰგავს ბავარიას, ქვეყანა სადაც, მარტივად შეგიძლია წახვიდე მთებში და როგორც გერმანიაში, 7 საათი არ იმგზავრო ამისათვის. 2022 წლის მაისში, პირველი ვიზიტით ესტუმრნენ საქართველოს. შემოიარეს და დაათვალიერეს დიდი ქალაქები და რეგიონები, ხვდებოდნენ საქართველოში მცხოვრებ გერმანულ ოჯახებს, მათ, ვისთვისაც ჩვენი ქვეყანა საუკეთესო ადგილი იყო საცხოვრებლად და ვაგნერებიც საბოლოოდ დარწმუნდნენ წარმატებულ არჩევანში.

- ძალიან გახარებულები დავბრუნდით გერმანიაში, 6 თვის განმავლობაში გავყიდეთ ყველაფერი, სექტემბრში შევიძინეთ ეს მანქანა, დავტვირთეთ ჩვენთვის სასურველი და საჭირო ნივთებით და ჩამოვედით აქ. სამტრედიის რაიონის სოფელ ვაზისუბანში, ჩვენს ახალ გერმანელ მეგობრებთან გავჩერდით, შემდეგ დავიწყეთ ვიზიტები სხვადასხვა რეგიონებში, 2 თვე დავყავით თბილისში, 7 თვე - ბათუმში. ბათუმში კარგი იყო, მაგრამ ძვირი და ჩვენი ბიუჯეტი ვერ გაწვდებოდა. ძალიან გაბრაზებული ვიყავი ბათუმის სიძვირით და სოციალური ქსელით დავიწყეთ საცხოვრებლის ძებნა, აღმოვაჩინე სამზარეულოს ფოტო, როგორც კი ეს ფოტო დავინახე, კატიას ვუთხარი, რომ ჩვენი საცხოვრებელი ადგილი აღმოვაჩინე. დავიწყე რუკაზე ახლომდებარე ადგილების ძებნა, ვნახე მეზობლად „ვილა რბონა“ და გავეცანი შეფასებებს. იქამდე კი, ხაშურში ყოველი გავლისას, ვამბობდი, რომ არ მინდოდა აქ დარჩენა. ხაშური არც დიდია და არც - პატარა, ჩვენ უფრო მშვიდი ცხოვრება გვინდოდა. როდესაც აქ მოვედით, რამდენიმე დღე დავრჩით, დავდიოდით და ვათვალიერებდით ყველაფერს, როდესაც ჯაბა („ვილა რბონას“ მფლობელი) გავიცანით, რომელიც გერმანულადაც და ინგლისურადაც საუბრობდა, გაგვეხარდა, ჩვენთვის ეს დიდი კომფორტი იყო, ქართული რთული ენაა. მოგვეწონა, რომ ჯაბა იქნებოდა ჩვენი მეზობელი, - **გვიყვება ტობი ვაგნერი.**

ერთი შეხედვით, ცოლ-ქმარი ვაგნერები საინტერესოდ მოსაუბრე, პოზიტივით დამუხტული, თბილი ადამიანები გეჩვენებიან, ინტერვიუ ხალისიანად, სიცილ-სიცილით, გარკვეულწილად, ფილოსოფიური წიაღსვლებით, ჭიქა წითელი ღვინის, ჯაბას „შავკაპიტოს“ თანხლებით მიმდინარეობს. სიტყვა გვიგრძელდება, იუმორი ჩვენს სტუმარ-მასპინძლობას აფერადებს, სადაცაა მე და ჩემი რედაქტორი, ბატონი გოგიც ინგლისურად ავმეტყველდებით, მაგრამ თარჯიმანი „დავინდეთ“ და ისევ ჩვენს „რელსებზე“ ვბრუნდებით. უკვე შინაურულად, კატიას ვეკითხები:

-მოგწონთ ქართველები?

- კი, გვიყვარს ქართველები.

-რატომ?

- ძალიან მეგობრული, გულთბილი ხალხია. გერმანელები დისტანციურები არიან. როდესაც გერმანელებთან სტუმრად მიდიხარ ან ვინმეს ხვდები, ურთიერთობისას თითქოს სხვა ადამიანები არიან, თითქოს სული სხვაგან დატოვეს. აქ ძალიან თბილი ხალხია, მეზობელ სოფელში გოჩასთან ვიყავით სტუმრად, საჭირო არ იყო არც წინასწარ შეთანხმება, არც დაპატიჟება. ძალიან სტუმართმოყვარეები იყვნენ, სული გაგითბება

ადამიანს და ეს ძალიან სასიამოვნოა, - **ამბობს კატია და ქართულ ოჯახებს გაუმარჯოსო, ჭიქა ღვინოს გვიჭახუნებენ.**

-აქაური მკვიდრის გადასახედიდან რა მოგწონთ, ან რა არ მოგწონთ, რას შეცვლიდით?

- ოოოჰ, მაგალითად მე ელექტრო ინჟინერი ვარ. როდესაც „ენერგო პრო“ სოფელში მუშაობადა ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ ბევრ რამეს შევცვლიდი მათ მუშაობაში, მეტი პროფესიონალიზმია საჭირო, - **საუბარს ტობი აგრძელებს.**

-როდესაც გერმანიაში პროფესიულ საქმიანობას ვიწყებდი, ხშირად ვეკითხებოდი და ვცდილობდი, რომ ყველაფერი კარგად მესწავლა და აქ, როდესაც ვინმეს რაიმეს ურჩევ არასწორად კეთებისას, ცოტა უკადრისობენ... და მაგ კუთხით თუ შეიცვლება სიტუაცია, კარგი იქნება, - **მეტად კორექტულია კატერინა**, - გერმანიაში სამუშაო საათებში ადამიანები თავდაუზოგავად მუშაობენ და, შესაბამისად, ანაზღაურებაც აქვთ. იქ ადამიანები ეშმაკს ყიდიან სულს. მაგრამ საქართველოში, პირველად რომ ვნახე, რომ ვიღაცამ იშრომა, აიღო საზღაური და დაისვენა ორი-სამი კვირა, ვერ მივხვდი რატომ? გერმანელებისთვის ეს უცხოა. იქ სულ მუშაობენ და მუშაობენ... ჩვენ ფულისთვის ვყიდით ეშმაკს სულს და გვავიწყდება, რომ უნდა ვიცხოვროთ... მაგრამ აქ ბევრს ისვენებენ, სადღაც, ამის შუალედი იდეალური იქნებოდა.

მოწონებით კი, უამრავი მოსწონთ. აქ ქართველი ქართველობით ამაყობს და გერმანიაში რომ გერმანელობით იამაყო, არ შეიძლება, ნაცისტობაში ჩაგითვლიანო. მოწონთ ქართული ღვინო და კულინარია. თავად, კატია გერმანულ კერძებს ამზადებს, ისე კი ძალიან უყვართ ოჯახში ქართული კერძები და მეგიც (მეზობელი) სიამოვნებით ამზადებს მათთვის. საქართველოს მოქალაქეები არ არიან. გვეუბნებიან, რომ საქართველოს მოქალაქეობა ადვილი არ არის. კი ძალიან გვინდა, მაგრამ ქართულად ტესტის დაწერა რთულიაო. თუმცა კი, ქართველი სტუმართმოყვარეები,

(დასასრული VI გვერდზე)

ასეთი სილამაზით ეგებება ზემო სერი ახალ წელს. ნიკა კახეთელიძის ფოტო

პატარა მოჭადრაკეების მორიგი წარმატება

ხაშურის საჭადრაკო სკოლა, უკანასკნელ პერიოდში, თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს და ამ წარმატებების მთავარი შემოქმედი შესანიშნავი მწვრთნელი ალექსანდრე ჭადაშვილი გახლავთ. ახლაც, სულ რამდენიმე დღის უკან, დასრულებულმა შიდა ქართლის პირველობამაც დაადასტურა, რომ მისი შეგირდები მართლაც შესაშურ ფორმაში არიან. ამ ჩემპიონატში,

8 წლამდელთა შორის, პირველობა (7-დან - 6,5 ქულა) არავის დაუთმო ანდრია აკოფაშვილმა. 12 წლამდელთა შორის კი მარიამ მჭედლიშვილი ავიდა უმაღლეს პედესტალზე. ამავე ასაკის ჭაბუკებში კი ვერცხლის მედალი ალექსანდრე აკოფაშვილმა მოიპოვა. ალექსანდრემ, სხვათა შორის, ამ ტურნირამდე, თბილისის ჩემპიონატიც მოიგო. აქვე კი მესამე საპრიზო ადგილზე (9 წლამდელებში) ლაზარე ლიჩელი გავიდა.

ვულოცავთ მათ ამ წარმატებას და გვჯერა, წინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და დიდი გამარჯვებები მოვა.

ტობი და კატერინა ვაგნერები, სოფელ დამჩხეულაში დამკვიდრებული გერმანული ოჯახი ქართული ცხოვრებით

(დასასრული)

ჩემი დაკვირვებით, უკვე არიან. საქართველოს სხავდასხვა კუთხეში ორმოცამდე გერმანული ოჯახი ცხოვრობს, ყველა მათგანი ხაშურს გადაკვეთს გავლა - გამოვლაზე, ხაშური ხომ საქართველოს გულია, და ყველა მათგანი ვაგნერებთან ჩერდება, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ერთადერთ გერმანულ ოჯახში. სტუმრობენ მათ პატარა, კოხტა, ზამთარში ზღაპრულად დათოვლილ საცხოვრებელს. სხდებიან, ყავას, ჩაის, ჭიქა ღვინოს მიირთმევენ, საუბრობენ და გზას აგრძელებენ დანიშნულების ადგილამდე. როგორც ჩვენი საუბრის თარჯიმანი იტყოდა, ვაგნერებს ყველაზე მეტად გაუმართლათ, ბედნიერები არიან, რომ საქართველოში საოცნებო ადგილას, დამჩხეულაში დასახლდნენ. ამიტომაცაა, რომ დამჩხეულაში ცხოვრების 3 წლის განმავლობაში, გერმანიას და გერმანელებს მხოლოდ ერთხელ სტუმრობდნენ, ქართველ მეგობართან ერთად.

ტობი და კატერინა დამჩხეულაში ორ ძაღლთან ერთად ცხოვრობს. შეშის ღუმელით თბებიან, კედელზე „სნოუბორდები“ მოუთავსებიათ, ეზოში ავტომანქანა დგას და თავისუფალ დროს გუდაურში, ბახმაროსა და ბაკურიანში მიდიან სასრიალოდ. საუბარი ისე როგორ დასრულდებოდა, რომ ბატონ გოგის არ ეკითხა, ფეხბურთი თუ გიყვარსო და პასუხად, „არა“ მოისმინა. ტობის და მის მეუღლეს ფეხბურთი არ უყვართ. წითელი „შავკაპიტო“ უყვართ და ფიქრობენ, ეზოშიც გააშენონ ვაზი, რამდენიმე ძირი „შავკაპიტო“ უკვე დაურგავთ. არ ვკეკლუცობ, გერმანელი ტობი და კატერინა სტუმრობის დასასრულს კიდევ ქართველების და ქართული ოჯახების სადღეგრძელოს ამბობენ. ვემშვიდობებით.

- მადლობა ტობი, კატერინა!

-არა, არა, მე მადლობა! - ქართულად გვეუბნებიან მეუღლეები და დამშვიდობებისას გვეხვევიან, სითბოს და მადლიერებას არ იშურებენ. დამდეგ ახალ წელს ვულოცავთ და რაღაცნაირი, კმაყოფილები ვბრუნდებით დამჩხეულადან. ამინდიც, ისეთია, აი, ცოტა რომ ყინავს, ცივა, თოვლზე ფეხი რომ სრიალებს და მანქანაში სიცივენარევი სითბო რომ გსიამოვნებს.

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.